# სემინარი ახალგაზრდა ამომრჩევლებისთვის თემაზე "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა"

2014 წლის 28 აპრილიდან - 5 მაისის ჩათვლით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელებს ფართომასშტაბიან პროექტს "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა".

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდა ამომრჩეველთა (მათ შორის, ეთნიკური უნცირესობების წარმომადგენელთა) სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში (პროექტის აქტუალობა განაპირობა, ასევე, მოახლოებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და მერის/გამგებლის არჩევნებმა).

პროექტი განხორციელდება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერ 10 უნივერსიტეტში, მათ შორის 2 რეგიონალურ და 8 თბილისში მდებარე უნივერსიტეტში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი "ALMA MATER", ილიას სახელობის იუნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

პროექტის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტებთან შეთანხმებული გრაფიკების შესაბამისად, ჩატარდება 19 სემინარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. სემინარის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის 7 ტრენერი.